პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სოფლის მეურნეობის სექტორის გაუმჯობესება საქართველოში (ENPARD III)

განხორციელების ვადა: 01.01.2018 - 30.11.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 12 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
The Food and Agricultural Organization of United Nations (FAO)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/FAOGeorgia/, facebook.com/FAOGeorgia/

პროექტის ვებსაიტები: fao.org/georgia/ge/

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის ნაწილს. მისი მიზანია სოფლად არსებული შინამეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მომსახურებისა და წარმოების გაუმჯობესება, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორის კონკურენტუანარიანობას მნიშვნელოვნად აამაღლებს. პროექტი ითვალისწინებს FAO-ს მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერას ეფექტური პოლიტიკის შემუშავებასა და „სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის“ განხორციელებაში.
პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია სხვადასხვა სახის საპილოტე ღონისძიებები: ფერმერების, ფერმერული კოოპერატივების, მეწარმეებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გათვალისწინებულია საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობები, ასევე ინდივიდუალური გრანტები, რაც ფერმერთა და მეწარმეთა კონკურენტუნარიანობას აამაღლებს.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლად არსებული შინამეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მცირე და საშუალო საწარმოების წვდომა ფინანსებზე, გაუმჯობესებული მომსახურება და წარმოება
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერებული შესაძლებლობები
- ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორის გაზრდილი კონკურენტუანარიანობა.